

ხელს-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სალონში № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.


განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.



«ივერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაცხადებით და უცხადებ... 7 შ. —
სახვედრის წლისა... 3 შ. 50.
თითო ნომერი... — 15.

თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად მისთვის წერილებს.



ს ა ზ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო კ ა ქ ე ტ ი ლ ის ი
გამოდის ხუთჯაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატთანე: ტფილისის გუბერნიის სასოფ. შკოლების მასწავლებლებთა კრება ქ. ტფილისში 1878 წ. («ივერიის» ვარსკვლავი.) ჩარტვილიდან, ლიხიდან, ქართული კალბა — II. საზოგადოებრივი მიმოხილვა. — III. რამეთუ კაცი ვარ.

საქართველოს მატთანე

ტფილისის სასოფ. შკოლების მასწავლებლებთა კრება ქ. ტფილისში 1878 წელს.

18 სექტემბერი. ისევე ერთ-გვარობა, ისევე არეულ-დარეულობა!... დღეს ასწავლეს უფ. იოსებ ცხევედაძემ და უფ. გ. ყიფშიძემ; მაგრამ ამათაც გარკვეულად თავის საქმეში გამოუდგელობა. როგორც ესენა, ისე ის მასწავლებლებს, რომელთაც ამას წინადასწავლეს ამ შკოლის შვირდებს, არ არიან ერთი მეორეზე მეტი ერთის დანგითაც. ნასწავლს გაკვეთილებს დღემდის არჩეულს ხელმეორე საშუალო საზოგადოების შენობაში, ახლა დღეს კი იქვე შკოლაში გააჩნეს. უკანასკნელს გაკვეთილებს დაესწრო თვით უფ. ილიაშენკო. ამანაც მიიღო მონაწილეობა გაკვეთილის განხრევაში.

სადამოს ხუთს საათზე მასწავლებლები ისევე ქაღალის საბჭოში გაიხლენ; აქ უფ. დირექტორმა განუმარტა მასწავლებლებს ანგარიშის სწავლების კანონები, ისე როგორც ეკრუშევსკი ამბობს. შემდეგ უფ. რაფ. ერისთავმა წაუკითხა მასწავლებლებს თავისი ახლად შედგენილი ანაბანა. ეს ანაბანა, ეტყობოდა, ისეთ ნაირის ხელისკან არის დაწერილი, რომ მის პატრონს ახლის თანამედროის შედგოვისათვის ყური არ უდგებია. მაგრამ გუწრფელად შეკვიპილია ვსტკვით, რომ ანაბანს შემდეგ საკითხავი წიგნი კარგის ენით არის დაწერილი, თან საკითხავი არიან

ადესილნი მდიდრის მსახურებით. ანბანის წაკითხვის შემდეგ უფ. ერისთავმა წაიკითხა თავის ნათარგმნი არაკები კრილოვისა. ეს არაკებიც საუცხოვე ენით არიან ნათარგმნი. როდესაც დასრულა უფ. ერისთავმა წაკითხვა თავისის ნაშრომის, მაშინ მასწავლებლებმა ქსთხოვეს, რომ მან თვისი წიგნიდამ გამოჩინოს ანაბანა და შეადგინოს შკოლაში საკითხავი წიგნი, ისე რომ ის გოგებაშვილის «დედა ენის» შემდეგ გამოდგეს საკითხავად. ამასე უფ. ერისთავმა სთხოვა ერთად მასწავლებლებს, რომ ამოიჩინონ თვის შრომის რაი ან საში კაცი და განიხილონ ეს წიგნი. წამსვე არჩიეს ერთმად რთხი კაცი. ესენი უნდა მივიდნენ რცს სექტემბერს უფ. ერისთავისა და განიხილონ ეს წიგნი. ამას გარდა სთხოვეს უფ. ერისთავს საემსწილო ქრისტომატიის შედგენა და მან სრული თანხმობა გამოაცხადა ამასე.

19 სექტემბერი. გაკვეთილები ასწავლეს დღეს უფ. ნეს. მესხმა და ქალმა ეკ. შვიშმელავისამ. მესხი, როგორც თვითონ ამბობდა, დღეს სწავლებისთვის არ იყო მომზადებული, შვიშმელავისა კი გვარანად ასწავლიდა. სადამოს შეიყარნენ სამეურნო საზოგადოების შენობაში. აქ განიხილეს რუსულის ენის პრეგრამა. ამასი ნათქვამია: რუსულის ენის სწავლა უნდა დაიწეს მასწავლემ მესამე წელიწადს. ჯერ ანაბანა უნდა ისწავლოს ისე, როგორც უშინსკის წიგნიში — Родное слово-ში არის და შემდეგ ამ წიგნიდამ უნდა ისწავლოს 12 ნომერი. მეორეზე წელს ემსწილოს უნდა მიეცეს კალანდარიშვილის რუსულის ენის სასწავლებელი წიგნი, და ამ კვარად რუსული უნდა ასწავლან. მითამ?... .

20 სექტემბერი. დღეს ცოტა არ იყოს საქმე წინ წავიდა. რაც ჩვენმა მასწავლებლებმა დღემდის იტუდავეს, სიტყვით დღეს გააკეთეს, დილას უფ. კანანაძემ და ხუ-

F-3057

ციემა ასწავლეს უმაწვილებს; ამათაც ისრე ასწავლეს, როგორც სხვებმა. საღამოს სხდომა სანტერესო სანახევს წარმოგიდგინდათ; დღეს განიხილეს და დამტკიცეს ქვეყნის ცნობის (Мировѣденіе), ხატვის, წერის, ანგარიშის და სხვა „წელიწადის“ საგნების პროგრამა. პროგრამა წინათვე მომზადებული ჰქონდათ. ამას კითხულობდა უფ. დირექტორი, და კვითხებოდა მასწავლებლებს, მოსწონთ თუ არა. ესენიც კუბნებოდნენ: ძალიან კარგიაო, ამითი თანახმა არ გახდა უფ. კანონ რეორგანიზაციის, მაგრამ ერთს კაცს ოცდა ათ კაცთან რა მნიშვნელობა მიეცემოდა. ამის ხმა დარჩა ხმად დადადების უდაბნოს შინა,

21 სექტემბერი. დღეს უფ. დირექტორის თანაშემწე და მასწავლებლები წავიდნენ ალექსანდრეს სასტატო ინსტიტუტში. აქ უნდა ენახათ სწავლების ნიმუში ოთხს განყოფილების კლასში. მაგრამ ამაზე კარგი შენმა მტრმა არა ნახოს რა, რაც აქ კარგი ჩვენს მასწავლებლებს არ ენახათ. კლასი, რომელშიაც ჩვენი სასაოფლო შკოლების ოსტატები მივიდნენ, იყო არეულ-დარეული. ზოგი უმაწვილი სწერდა, ზოგი თამაშობდა, ზოგი კითხულობდა, ზოგი ხატავდა, ზოგი რას შერებოდა და ზოგი რას, ღმერთმა უწყის. აქ იმდენი განყოფილება იყო, რამდენიც უმაწვილი. თუ ყოველ დღეს ასეთი უთავბოლობა არის ამ შკოლაში, ნეტავ როგორ სწავლობენ შეგირდები?!

საღამოზე უფ. დირექტორმა ილაშა რაკ პედაგოგიაზე. განმარტა, ამის მნიშვნელობა და ცოდნა რა სასარგებლოა ყოველის კაცისთვის და უმეტეს მასწავლებლისთვისა.

22 სექტემბერი. დღევანდელი დღე არაფრით გამოირჩევა სხვა დღეებიდან. დღეს ორმა მასწავლებელმა უფ. იაკ. კანდელაკმა და დავ. ბერძენიკმა ასწავლეს უმაწვილებს. სწავლების დროს დაესწრენ ოლქის ინსპექტორი და სხვა კარეში პირნი, რაც შეეხება სწავლებას უნდა ესთქვას, რომ კანდელაკმა შედარებით კარგად ასწავლა, ხოლო ბერძენიკმა — მდარედ.

საღამოს დირექტორი და მასწავლებლები შეიკრიბნენ თ. დიმ. ჯორჯაძის სადგომში, სადა მოიჯანაჯანეს სასაოფლო შემსახურ-გამსესხებელ ამხანაგობის გაუმჯობესებაზე. აქ იყო მოწვეული უფ. იასე ჭავჭავაძე. ბასნი გაემეღდა თითქმის სამს საათს. რაც შეიძლებოდა უფ. ჯორჯაძემ და უფ. იასე ჭავჭავაძემ მისცა დარბევა მასწავლებლებს, თუ როგორ უნდა წაუძღვენ ესენი სასაოფლო შემსახურ-გამსესხებელ ამხანაგობას.

ანანი.

მ ა რ ტ ვ ი ლ ი *)

ბ. მარტვილი ძვეს დაბა ხონიდან ათს ვერსტზედ ჩრდილოეთ — დასავლეთის მხრით; ძვესარეობს მშვენიერს მდინარის აბაშის პირზედ, რომელიც წარმოადგენს სრულიად გაკე ადგილს, კარდა აღმოსავლეთის ნაწილისა. მშვენიერი მდებარეობა ადგილისა, ნაყოფიერი ნიადაგი მიწისა, მდიდარი მტენარეობა, საუკეთესო ჭაერი, წმინდა და მარტვილი წყალი მდინარისა წყაროსა და ჭისა, — აი ბუნებითი ღირსებანი ამა საოფლისა. აღმოსავლეთის ნაწილი მოფენილია მრავალის მომდებლო სერებით, რომელთა შორის აშვერილია ერთი ძალალი სერი და ზედ ამაყად დასტქერის თავის ამხანაგებსა. ამ სერზედ გაშენებულია დედა ეკლესიის მართლის ოდიშისა — მარტვილის საბოროლო. მდებარეობა საბოროლოსი არის მშვენიერი. ფრიად საუცხარო და თვალთა სასიამოვნო: დიდი და მძალი თაგ-გადაჭრილი პირამიდა, რომელზედაც ოთხი-ხუთი ქვევის სივრცეზე არის სრულიად ტრიალი მინდორი, აწვევებული წმინდა ბაღებით და მშვენიერ ჩრდილოვან ცაცხებით; მუდამ სასიამოვნო წმინდა და მოგრილო ჭაერი; ირგვლივ გადასასხედავი, საინდამც ნათლად, როგორც ხელის გულზედ, სხანს რიონის, ცხენის-წყლის, აბაშის და ტენურის ჭალები ვიდრე ზღვამდე, აჭარის და ახალციხის მთები, კავკასის მთის ტოტები და მრავალ-ნაირი სერები.

ამ ადგილზედ ეკლესიის დაარსებაზედ პირად-თქმულთა მოკვითხრობის შემდგომს: პირველს საუკუნეში ქრისტეს შობიდან, როდესაც მოციქულები აგრძელებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, მაშინ აქ, რასაგვირგვლივ, იყო კერპო-თაყვანისცემა. იმ ალაგზედ, სადაც ახლა საბოროლოს ტრაპეზი არის, იდგა ერთი დიდი მუხა, რომელსაც თაყვანს სცემდა ხალხი და სწინაგადა მსხერზლად თავის შვილებსა. ანდრია მოციქული შემოვიდა აქაც და თავის ქადაგებით და სასწაულთი მოაქცია ხალხი, ის მუხა მოაჭრევინა და აქ დასვა ჯვარი ნიშნად ეკლესიის აღშენებისა. მეოთხე საუკუნეშია აშენებული ესლანდელი საბოროლო. იმ დიდის მუხისაგან, რომელიც მეგრულს ენაზედ არის „ჭყონი დიდი“, წარმოსდგა სიტყვა — ჭყონდიდელი,

*) სენაის მხარეში.

სასული სამეგრელოს მღვდელთ-მთავრისა. ესლაც სამეგრელოში ეპისკოპოსს უძახიან ჭყონდიდელს ქართულად და ჭყონდის მკერულად.

შესახებ ქრისტიანობისა, სამღვდელთ სწავლისა და განათლებისა მარტვილს ეჭირა და ესლაც უჭირავს ზიარველი ადგილი მხოლოდ სამეგრელოში: აქიდან ვრცელდება სხივი ქრისტიანობისა და სწავლ-განათლებისა; სამეგრელოში მარტვილს ქრისტიანობა იხილეს მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში. ამიტომ ჩვენს ხალხს დიდი სასიკეთოა ქრისტიანობისა და მარტვილში წარმოსთქმინა ხალხს მისი სახელისა. როგორც ქრისტიანობისა, მარტვილი იქცევა დიდს ყურადღებას ჩვენის ხალხისა ანამც თუ მარტვილს ქრისტიანობის დროს, ანამც კერძო-თავისა ცემლობის დროსაც. ამიტომ სასურველია, რომ მას ქრისტიანობის დროს და სხვა დროს და უფლებს შესაბამისი მისი ისტორიული მნიშვნელობისა. გარდა საკათედრო სობორისა მისი ჭყონდიდელით, მარტვილს აძლედა დიდს მნიშვნელობას სასულიერო სასწავლებელიცა, რომელიც იყო წყნარო სწავლისა და განათლებისა—როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო წოდებისა. თუმცაღა წინანდელს დროში ეს სასწავლებელი იყო სამკლასიანი, რომელიც სწავლას, როგორც ყოველგან, მიდიდა მკვლელობის მეთოდით და უხერხულად, მაგრამ იშვიათად მოიხილებს მეორე სასწავლებელი, რომელსაც მოეცანას აძენს სარგებლობას საზოგადოებისათვის: მხოლოდ სამეგრელოში, ნამეტურ სენაკის მხარეში, ყველა სასწავლო მოხელეების (გარდა მსახურებისა და მათი თანამშრომლებისა) მხარის უფროსიდან დაწყებული უკანასკნელ მწერლამდის და ყველა სოფლის მასწავლებლები დაგალებულნი არიან თავის ცოდნით მარტვილის სასულიერო სასწავლებლისაგან; სამღვდელთაგან და სხვა თქმა უნდა,

სასიამოვნოდ ჩვენდა, 1869-ს წელში ეს სასულიერო სასწავლებელი გარდაკეთდა ოთხ-კლასიანად შტატისამებრ და დაადგა სრულიად ახალს წესს და გზას სწავლისა. ზიარველ კურსს შესრულებულბა ცხადად უჩვენეს საზოგადოებას, თუ რა ნაყოფის მოცანა შეეძლო ახლად გარდაკეთებულს სასწავლებელს, რომელიც თან-და-თან წარმატებას ელოდა. მაგრამ,

სასურველად ჩვენდა, არ მიეცა მას მოხერხება ბოლომდე ხელთაგან: მოინდომეს მისი გადაცანა ქუთაისში. ვის უნდა ქრისტიანობის სურვილი, გვინებ, მხელი გამოსავლები არ იყოს. ამით გამოყოფილბა ბოლომდე სურვილი: ა) უფრო მეტად დამდაბლება მარტვილისა შემდგომ ეპისკოპოსის გაუქმებისა და ბ) ქუთაისში სეირობა, დროების ცარება, განცხრომა და სხვა ზიარველი გამოყოფილება. ეს სურვილი მომდინარეობდნენ სხვა და სხვა წყაროებისაგან. გარდაცანა სასწავლებლისა უმიზეზოდ არ შეიძლება: მისეზიც მალე გამოჩნდა: სასწავლებლის სახლი გადაიწვა და, როგორც ამბობს „ბოლოტი ენა“, არა უცნადა და შემთხვევით, არამედ იმ ზიარველი წყაროებით, რომელთაც ენატრება გადაცანა სასწავლებლისა. სახლის უქონლობისაგან სასწავლებელი გადაიტანეს ქუთაისში, სადაც ვითომც ელოდნენ არა ჩვეულებრივ ცარებით განხილას ბავშვებისა. მოსაწონარი აზრით იყო: სამეგრელოს სასწავლებელი იმერეთში, იმერეთისა—ქართლში, ქართლისა—კახეთში, კახეთისა სპარსეთში და სხვ.

თუ რა დანერგულ მდგომარეობაში იყო მკერელობის სასულიერო სასწავლებელი ქუთაისში მეოფობის დროს, მე ამის აღწერას არ შევუდგები, რადგანც ეს შეადგენს ვრცელს ისტორიას. მხოლოდ ვიტყვი მოკლეთ, რომ ეს იყო უბედურება სამეგრელოს სამღვდელთაგან და მათის შვილებისა. სამღვდელთაგან გამოცდილებით იგრძნო ეს უბედურება და ისევ ისურვა გადმოცანა სასწავლებლისა მარტვილში. თუმცაღა ამ სურვილს დახვდა ძლიერი წინააღმდეგობა, განხორციელებულის მამობრივ მზრუნველობის სახეში, მაგრამ სამღვდელთაგან მანც გაიტანა თავის სურვილი.

ესლც მკერელობის სასულიერო სასწავლებელი არსებობს ისევ მარტვილში ახლის ზედამხედველის ხელში, რომლის დანიშვნა დიდს იმედს გვაძლევდა სასწავლებლის განკარგებისა. იმედიც გვაქვს, რომ უფროსი დასრულებს ამ ჩვენს იმედს. რადგან სასურველად ახლაც განახლებს საქმე სასწავლებლის გადაცანაზე, მაგრამ ქუთაისში კი არა, ახალ-სენაკში. ეს აზრით არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ სასწავლებლის ბედი კი ასე მუშაობს. აბა, რა ნახეს სენაკში? რკინის გზა არის მანც გაფენილი, რომელსაც დიდი

გავლენა აქვს ბავშვების ბუნებით განვითარებაზე და დიანს, იმიტომაც სენაკელები უფრო გასწილნი არიან გონებით, მინემ მარტვილები. იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ რკინის გზა არის ერთი წვეთი იმ დიდის ზღვისა, რომელშიდაც იხსნება კაცი სულიერად და ხორციელად. ჭაერს, სასმელ-საჭმელს და ადგილის მდებარეობას უფრო დიდი აღაზი უჭირავს ამ ზღვაში, მინამ რკინის გზას. თითონ მკითხველმან განსაჯოს, თუ რა გავლენა ექნება ბავშვების სულიერ და ხორციელ აღზრდაზე სენაკის ჭაობიან ადგილს, დაშხამულს ციფებიან ჭაერს, დამზალს წყალს და დაუჯერებელს სიძვირეს საჭმელ-სასმელისას. ბათუმის შეძენის შემდეგ, სენაკს დაეკარგება ის მნიშვნელობაც, რომელიც მიიღო მან რკინის გზის გამო.

თუ სად ჭსჯობს სასწავლებელი, ამას თვითონ მიხვდება მკითხველი. მარტვილში არის სობორთა, მღვდელთ-მთავარი თავის კრებულთ, ზატარა ქალაქი ნელაღევი, სადაც ახლა გაიხსნა სამსახურლო (Мирной Суды), სოფლის სასამართლო, ზრისტაგა, ოთხკლასიანი სამის მოსამზადებელი სასულიერო სასწავლებელი, ფოშთა, და იაფობა ყოველ-გვან ნაყოფისა. როგორც გავიგო, სენაკელებმა იგრძნეს თავის შეცდომამ და კიდევაც გაჩუმიდნენ. ახლა უსუგდიდმა გამოჭყეო თავი, მაგრამ იმედი გვაქვს, ისიც მალე გაჩუმიდეს. სხვა ქალაქმაც რომ გამოჭყეოს თავი, სასწავლებელი მაინც დაჩუმიება მარტვილში, სადაც, დაწმუხებით შემიძლიან ვსთქვას, მოიტანს უფრო მეტს ნაყოფს, მინამ სხვაგან.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება მეოქვას ამ საგანზედ, მაგრამ მე შენთან არ შეგატულო თავი მკითხველს გრძელის წერილით. ვათავებ ჩემს წერილს და გუბნები მეგრულიის სამღვდელთობას:

ჩემსა სიტყვას თუ შეისმენთ, მაქვს მე თქვენთან სათხოვარი: სჯობს ერთმანეთს ხელი უწყოთ, არ ასაროთ თქვენზედ მტერი.

მარტვილელი.

მარტვილი.

1878 წ. 5-ს სექტემბერს.

ს.ო.შ. ლინი, („ივერიის“ კორრესპონ.). „სამბუჩა“-ლი თათარი გოჭის თავს მცდილებოდაც... ამისი არ იყვეს, ისრეა ჩვენს სოფელს ღიჩის ზოგიერთი მცხობა-

რების საქმე: სომხებს მოუხდომია ჩვენი ისრე ო ბორკილება, როგორც ზოგიერთ ქართლ-კახეთს სოფლებშია!! აი საქმე რაშია: ჩვენ რამოდენიმე გლეხი ლომიძეები თ. ნესტორ წერეთლის ყმები გახლავართ... დალცრის დემთმა—ჩვენი ბატონი კეთილი განია. ჩვენს შეუძლებლობას რომ ჭხედავდა, თითო გლეხს ორ-ორ თუმანს ან ცოტა მეტს გვჯერდებოდა ყოველისფერში წელიწადში და კმაყოფილიც იყო ჩვენგან... ჩვენი ბატონის იმედი რომ გვექნა, წელს შეგედრება გვინდოდა, რომ ჩვენი გარდასახადისთვის ცოტა მოეკლო... ეს რომ მათ მოურავს ვუთხარით—ის დალცრელი წასულა და ოც თუმანთ მიუყიდივართ წელიწადში ვიდაც ყულა სომხისათვის!! ახლა ეს უკანასკნელი მოგვადგომია და გვეუბნება: თქვენ ახლა ჩემი ყმები ხართ, და მე უნდა შემსახუროთ!!!.. ეს ძვენილის ბავიათ, ეს ხილებისა, ეს კომბოსტოსა და სხვა და სხვა და სხვა... გაგონილ! ისე გავკვიდე, რომ არც კი შეგვიტყვიან! იმ დალცრელს შეკულობინება მანცა, რომ ოც თუმანთ გვეიდა და ჩვენ ოც-და-ერთს, ან ოც-და-ორს ან მეტს თუმანს მივცემდით, ოღონდ სომხის ხელში არ ჩაგვეართო! რადის გვეოლის სომხის ბატონად, რომ ახლა ვაიყვანოთ!! მაგრამ ეს ყოველივე იმ დალცრელი მოურავის საქმე უნდა იყვეს. აღბათ ხახა დაუღობა ხახა გამშრალ-მასომხებმა, თვარა ჩვენი ბატონი აგრე როგორ გავწინავდა და როგორ შეგვიღიდა თავის კეთილ-ბატონობას!!! ჩვენ თხოვნა გვინდოდა ჩვენის ბატონისთვის, მაგრამ შენ ვერ ვნახეთ, ბათუმის მისაღებად წამანდა... ნუცა მალე მობანდეს, რომ შეგვიბრალოს და ის უკუღმართი კანტრასტი დაუხიოს თავის მოურავს, რომელიც ასე თავის ნებაზე იქცევა!..

გწსთქვათ, ჩვენ არ ვიყუეთ შებნალების ღირსნი, მაგრამ რა გავლენას იქონიებს ეს მაგალითი სხვა თავადებზე? თავადების და აზნაურების თავმა რომ ეს მაგალითი უჩვენოს სხვას—ნუ თუ ეს სასარგებლო და სასახელო იქნება მისთვის?!!

ესეც რომ არ მოგვემეტოს, ისეც ბევრია ჩვენს სოფლებში „დიდი თავის მქონე“, დავიდარბის მოყვანე და გაქნილი ვაჭ-ბატონები, რომლებს ხელში ვაზნდება ხოლმე ყოველი ხიდას გაკეთება, გზის გაყვანა და სხვა და სხვა ამ გვარი იჯარით სასადები საქ-

მეები, და რომლებსედაც ჩვენ სოფლებს გვამუშა-
გებენ და ჩვენ მოსაცემს ფულს ვა თითონ იკრავენ
ჯობეში!! აქლემს უთქვამს: „რომ არ დამახკებდნენ,
მთელს ქვეყანას ავიკიდებო.“ ასტკა ჩვენ სოფლებე-
ბის საქმე; რომ ათასი და ათი-ათასი ბრალი და უბ-
რალა წურბელები არ გვწოვდეს სისხლსა, ქვეყანასაც
დაგანჩენდით ჩვენის ოფლის მონადგაწით და ჩვენს
ყელმოღებებით ვიგლიდით.

დ. სოფლებლი.

2-ს სექტემბერს 78 წ.

— წარსულს პარასკევს, ესე იგი 22-ს სექტემ-
ბერს ჩვენი ორივე ქვეყნითი დრუჟინა მიწვეულიყო
ალექსანდროვსკის ბაღში სადილად ტფილისის მოქა-
ლანქეთა და ამქართვანს. ქალქელები მშვენივრად დაუს-
ვდნენ, ჩვენთა მეომართა, ძალიან კარგის სადილით
უმსაზიზძლეს, ღვინო და სორაგი ბლამად იყო და
მოწყობილობაც რიგანნი. სადილსედ მილიციანებებმა
ქსთქვეს ქართული სიმღერები ძალიან კარგად, ნამეტ-
ნაყად გრძელი მრავალჯამიერ. მილიციანებებმა სადი-
ლი რომ გათავეს, გამართეს ლეკური, ბევრმა ითა-
მაშა, მაგრამ მათშორის იოსებიშვილმა, ვახანამ და
სიდამონო-ერისთავამ ასე ლაზათიანად ითამაშეს, რომ
სამაგალითო იყო.

ლეკურის თამაშობის დროს მთელის ორის დრუ-
ჟინის ურიადნიკები იხმეს და შეიყვანეს კარაქქემს,
საცა საუხმე ქქონდათ გამართული ქალქელებს აფიც-
რობისათვის. საუხმესედ იყვნენ თ. გრ. ორბელიანი,
კაშენდანი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი,
სტრელკოვი ბრიგადის უფროსი ლენერალ-მაიორი
გურჩინი, დრუჟინისა და სტრელკოვის ბატალიონის
აფიცრები და სხვ. როცა ურიადნიკები შევიდნენ
კარავში და რიგსედ დადგნენ, თ. გრ. ორბელიანი
წამოდგა და შეძგევი სიტყვა უთხრა მილიციანებებს
ქართულად:

„ჩემო ძმებო! სისხრულით გილოცავთ მშვიდო-
ბით, გამარჯვებით და შინ-ნათლად დაბრუნებას იმ
დიდის საზარელის ბრძოლისაგან, სადაცა თქვენ, სა-
ქართველოს სახელის დიდებისათვის, გამოაჩინეთ ის
ძველად ნათქვამი ვაჟ-კაცობა, რომლითაცა იყვნენ გან-
თქმულნი თქვენნივე მამა-პაპები! საქართველო ჩვეუ-

ლია ბრძოლისა, და ან რომელი ხალხი არ ებრძოდა
ჩვენს ზატრას სამეფოს? არაბნი, სპარსნი, ოსმალები,
დაღისტნელები, ოთხივე კუთხით, დაუღალავად გვებ-
რძოდენ ათასის წლის განმავლობაში, ბევრჯელაგ გავ-
გაოხრეს, მაგრამ ვერ დაგვიმორჩილეს! თქვენმა მამა-
პაპებმა ხმლით დაიცვეს ქრისტეს სარწმუნოება, თა-
ვისი ენა, თავისი ლოცვა-საყდარი, ვიდრემდის დიდის
იმპერატორის ძლიერება არ მოეშველა საქართველოს.
— ესრეთნი იყვნენ თქვენნი მამა-პაპები, მამულისა-
თვის თავდადებულნი.

„ასლას სისხრულით და თავ-მოწონებით გვხედავთ,
რომ თქვენ, — მთი შვილებსაც, გადგასთ იგივე სული
მამა-პაპების ვაჟ-კაცობისა, ერთგულებისა, მამულის
სიყვარულისა; ამისთვის თქვენცა გმართებსთ, რომ
თქვენს შვილებს, იქვენს ძმებსა, მეზობლებსა ჩაუდ-
გათ თქვენი სული მამაცობისა, რომლითაცა თვით
მტერნი აქამოდის მოახსენებენ საქართველოს სა-
ხელსა.

„ვიყვარდესთ თქვენი მამული, შეძგული ღვთის
კურთხევითა; იყავით ერთგულნი დიდის იმპერატო-
რისა, რომელიცა არის მეფარველი და გამომხსნელი
ქრისტიანობისა, და ღმერთიც იქმნება მარადის თქვე-
ნი შემწე.“

ამ სიტყვის გათავების უძალ ურიადნიკებმა ერთ-
ბაშად დაიგრიალეს „ვეცდებითო.“ ქსთქვეს აქაც გმე-
ლი „მრავალ-ჯამიერი“ და გამოვიდნენ. ბოლოს წა-
მოდგა ბრიგადის უფროსი ლენერალ-მაიორი გურჩი-
ნი და ქსთქვა: კავკასის სტრელკოვის ბატალიონის და
ქართველთა ორის ქვეყნითის დრუჟინის სახელით მად-
ლობას ვუხდით ტფილისელთ მოქალაქეთა გულ-უხვად
დახვედრისათვის; ვისურვებ, რომ ქალაქი ტფილისი
ალეკსანდრულ იქმნას და ვსვავ სადღეგრძელს ქალაქის
მეთაურისას, მოქალაქეთა და ხელოსანთა საზოგადოე-
ბის წარმომადგენელებისას და ყველა მოქალაქეებისას
ტფილისისას.

მერე ყველანი ვინც საუხმესედ იყვნენ, კარგი-
დამ გამოვიდნენ, მთი წინ ხელახლად გაიმართა ფერ-
ხული, ლეკური და მხარულეობა. ორს საათსედ დიდ-
კაცობა დაიშალა, მაგრამ ბაღში კიდევ კარგა ხან ის-
მოდა ზურუნა, დაფა და სიმღერა.

ქართულს ბალობაზი

უთბუნნი უფ. არაგველს

„ამ მოკლე ხანში ძლიერ გახშირდა ღაპარაკი გალობაზე და იმის ნოტებზე გარდაღებაზე“ — ვიტყვი მეტ „ანაკველსაჲთ“ და რიცხვითა შორის „ანაკველმან“ გავზავნა გრძელი სტატია „ქართულს გალობაზე“ „ივერიაში“ დასაბუჯდავით. (№ 17 1878-ის წლის) ეს წერილი ეგებულა წერილებზე დიდია, რაც ქართულ გალობაზე დავიწერა წელს, რადგან ავტორს ნდამებია, რომ ქართული გალობის საქმე ყოველის მხრით დაუსატა მკითხველის სწავლადაცხადის. ბევრში ყურადღების ღირსია უფ. ანაკველის წერილი, ამისთვის ბევრსე კეთანხმებით, მაგრამ ჩემის ფიქრით შესანიშნავი შეცდომებიც უნდა იყოს მის წერილში. უფ. ანაკველის წერილში ზირველ გვერდზევე შესვლით შემდეგ სიტყვებს: „საქართველოში თხუთმეტი მგალობელი ვი ტუფილია, აინც წირვის გალობა იცის იმას ვერ დაუარქმევთ მგალობელს ჩვენ (იკულისხმება ქართველებს ე. ი. კახელებს, ქართლებს, იმერლებს, გურულებს, რაჭველებს და სხვებს) მარტო ერთი გვეყავს ნამდვილი მგალობელი, მღვდელი გრიგოლ კარბელავი, რომელსა მტკიცედ ახსოვს გალობის კილოები“. მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ მამა კარბელავმა ქართული გალობა არ იცის; არა, იმან ქართული გალობა იცის და უზირველესიც არის ქართულ-კახეთში, რადგან მასე უკეთესი იქ არავინ დარჩენილა. მაგრამ იმის თქმა ვი არ შემიძლია, რომ მამა კარბელავი იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში ზირველი და ერთად-ერთი მგალობელი დაგვარჩინოდა. იმერლები და გურულები ძლიერ მოყვარულნი არიან ქართულის გალობის, და იქ არც ისე ძვირია თითო და ორ-ოარი ზირვი მგალობლები ეკვლეისებში, როგორც ქართულ-კახეთში. მაგრამ ისინი სრულიადაც ვერ იცნობენ მამა მოხუც კარბელავს. ორში ერთი: უფ. „ანაკველ“ ან ის არა ცნობენ, რომ ქართველების რიცხვში იმერლებიც ითვლებიან და ან ის არა ცნობენ, რომ იმერეთშიც არის საყურადღებო გალობა. ზირველი ბევრის მიზეზის გარეშე უნდა ცნობდეს, ხოლო მეორე არის თუ არა იმერეთში ქართული გალობა — ღვილად შესაძლოა თქვენ და ბევრმაც თქვენისთანამ არ იცის. ამისთვის მე მინდოდა ცოტათი გამეცნოთ იმერულის ქართულის გალობის კილოთა და იქაურს მგალობლებთან.

მაგრამ ერთხელ კიდევ მოვიყვან „ანაკველის“ სიტყვებს: „ამ ცოტა ხანში ბევრმა გამოიჩინა ნოტის ცოდნა და თავიანთ ნოტებს (და არა გალობას) არქმევინამდვილ ქართულ კილოს, მაგრამ სულ სხვა ხასიათისანი არიან“. თუმცა ვერ არავინ ნახულა, რომ თავის „ნოტებს“ „ნამდვილ“ ქართულს კილოს არქმევდეს“, მაგრამ როგორც შემდეგიდან ხანს უფ. „ანაკველს“ უფ. მრეკლოვი ჭეკავს სახეში. ის ამბობს: „თუნდ ავიღოთ შრომა უფ. მრეკლოვისა, რომელსაც დაუწერია რამოდენიმე გალობა კილოზე და რომლებიც თბილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელს გამოუერთებია გასასინჯავათ, მაგრამ ვის უნდა გაეშინჯა? — რასაკვირველია მოსწავლეებს, რომელთაც... შემდეგ გაშინჯვის კიდევ დაუწერეს. მეტად გარყენილია. ბევრი აი — უი, აქა — იქა, აი — აი ურქვიაო. ისევე ჰატრონს გაუგზავნეს“.

ვის არ გაუგონია რუსული „დედა-ისის“ ერთი არავი: „თურმე ერთმა გლეხმა მეორეს გულზე ზეღის ცემით უთხრა: უჰ, რა ტვილია ბატის ფეხებიო. — გიჭამიაო? — ჭკითხა მეორემ. არა, მე არ მიჭამიაო, მაგრამ ჩემს ბიძას უნახავს, როგორ სტამდა ჩვენი ბატონიო“. სწორეთ აგრეთ უფ. ანაკველის საქმეც. სიღვან სად გაიგო უფ. ანაკველმა, რომ უფ. მრეკლოვის შედგენილი კილო სემინარიის მოწაფეებმა განიხილეს და თავიანთი დამაბოლოებელი სიტყვა წარმოთქვეს. ან რა ავტორიტეტი სემინარიის მოწაფეები ნახა უფ. ანაკველმა, რომ მათ სიტყვას ისრე ერწმუნა და ამბობს: „ნოტები (და არა გალობა) სულ სხვა გვარისანი არიანო“ ე. ი. გარყენილი არისო. ყოველისფერს დავანებებ თავს, მხოლოდ ეს ერთი კიცხვად ესეთი ცდომილი სიტყვა რა აზრით უნდა იყოს მოგონილი. იქნება მისთვის, რომ შემდეგ ეს სიტყვები უფრო თამამად ეთქვათ: „ამდენს ნოტის ძახილში და სიარულში ის კაცი, რომლის თავშია დამარხულია ნამდვილი მამა-ზაპირი კილო გალობისა, გამოგვეცლება ხელიდან, როგორც მოხუცებული და წაიღებს ისე იმასთან, ვისგანაც მიუღია. მაშინ ვისაც როგორა სურს ისეთი კილოები შეადგინოს. აღარც არავინ დამწუნებელი იქნება და არც მომწონებელი“.

რავა ფიქრბოთ, უფ. ანაკველ, როგორ გუნებაზე იქნებოდა თქვენის წერილის წავითხვის შემდეგ ის ჩვენს კეთილის მყოფელები, რომლებსაც რამოდენიმე-ჯერ წამოუყენებია ჭაზრი, რომ ქართული გალობა ეკვლეისებში

რესულტად შეიცვალავს. ჩემის ფიქრით კი ისინი აკეთ ფიქრში იქნებიან: ქართველების გალობა ერთი კაციღა ყოფილა, ისიც ძლიერ მოხუცებული. მას იმის დღეს დადი ხანი აღარ ექნება და ქვით ქართული გალობა და მათი მიმდევარები! შარშანდელი თოვლივით გაუქრებათ ხელად-გან თავიანთი გალობა და მაშინ რას იზიენ თუ მარტო რესულტ გალობას არ ისწავლიანო“. სასინარულოდ ჩვენდა ეს ასრუ არ იქნება: იმერეთშია ანაის მგალობლები, რომლებსაც, მამა კარბელაგისა არ იუყეს, შეკვიძლია ნამდვილი მგალობლები დაუქმასოთ. მასსოვარი მგალობ-ლები იმასაც იტყვიან, რომ სულ ყოველგან რომ გადა-გარდნილას ქართული გალობა, გურიაში მანაც შენახულა და იქიდგან მობრუნებულაო. ახლაც შენიშნულა, რომ იმერეთში ყოველი ახალი სიმღერები გურიიდგან და ქო-ბულეთის მანრიდგან ვრცელდება. სხანს ისინი ყველანე უფრო მიმდევარნი ყოფილან სიმღერ-გალობისა. ამისთვის კიქონით იმედი, რომ ქართული გალობა მარტო ერთის კაცის თავში ჯერ კიდევ არ არის ჩამარხული. ღმერთმა კიდევ დიდი დღე მისცეს მამა კარბელაგს, რომ რამო-დენიც დაუგალებია, ერთი იმოდენი კიდევ დააქალოს ჩვენს შვეკანას—, მაგრამ უმათადაც ქართული გალობა საქარ-თველში ისრე არ მოიპოვება, რომ „აღარც დამწუნებუ-ლი იქმნეს და არც მომწონებელი“. ნამდვილი ქართული გალობა, სადაც არა გგონიათ, იქ მოიძებნება, მხოლოდ ჩვენ ნოტები ვისწავლოთ, რომ გალობის დაწერა შეგვეძ-ლოს და თუ ეს არ იქმნა დაკუთანხმებით, რომ ქართუ-ლის გალობის საქმე ცუდად წავა. მას ხელი შეუწყოთ მათ, ვისაც ქართული გალობის სადღეგრძელოთ ნოტების შესწავლა უნდა; ის ხუთასი მანეთი და მასე მეტიც მათ მოკანძრათ, რომ ჯერ ევროპული მუსიკა შეისწავლან (მადლობა ღმერთს თბილისშივე გააქს მუსიკალური სკო-ლა) და მეტე ქართულ გალობას საფუძვლიანად გაეცნონ. მხოლოდ ამ ნაირად საგანგებოთ გაზრდილი შეიძლებს გალობის ნოტებზე ხეიროანად გარდაღებას.

ახლა გარდავალ საკუთრად ამ წერილის საგანზე და მოგებასებით საზოგადოდ ქართულს გალობაზე იმე-რეთში.

ჩვენს ზატარა სამშობლოში—საქართველოში, რომ-გარც ხალხი, ისრე მისი მეფეები ძლიერ ზურადნი ყო-ფილან. მეფეები თავისი სამეფოს დიდებულთა ძლიერ ფილან. მეფეები თავისი სამეფოს დიდებულთა ძლიერ ხშირად მოიპატიებდნენ ნადიმზე. იყო მეფის სიუხვე,

გულ-ანდილობა, სახუჭარი და მოღსენა. მოღსენით სხვა და სხვა ნაირად იღსენდნენ. მონადიმეები: იყო ჩონგურ-სედ მომღერალი მშკენიერი ქალები; იყვნენ მეთარეები და სხვა მესაკრავები და იყვნენ მგალობლები, რომლებ-ბიც სამღვთო ლექსებს გალობდნენ და შეატყვედნენ ჩვენს მეფეებს და მათ დიდებულთა, ასე რომ მგალობლები მარტო ეკლესიასში არ იყვნენ სატირონი—მომადღებლებიც ისინი იყვნენ. ამ გვარად იმ დროს მგალობლებს დიდი ზა-ტივი ჰქონდათ და გალობის ცოდნა დიდ ბედნიერად ხდი-და მტოდნეს. ისწავლიდა თუ არა გალობას ვინმე კარგი ხმის მქონე, თუ გლეხი იყო ახსნაურობას შოულობდა მე-ფის წყალობით და თუ კეთილ-შობილი იყო—თოფ-იარაღს იძენდა, ან ცხენს და ან ადგილს და მამულს... დიდი ხანი არ არის, რომ ამ გვარ ბედში იყვნენ ჩვენი მგალობლები. გუშინ წინ მოკვდა და ახლაც არაინ ცოც-სალნი იმერეთში ისეთი მგალობლები, რომლებსაც თავის თავზე ასოვით ეს ყოველივე.

მაგრამ მგალობლებისთვის ბედი შეიცვალა. ისეთი წამქეხებელი, რომ გარც მეფე, მათ აღარ ჰყავთ. მეფე კი არა ამ უკანასკნელს დროს იმერეთში სასულაირო წოდე-ბის უფროსის ყურადღებაც მოაკვდათ მგალობლებს. სხვა-ში ყოველისთვის საქმე იმერეთის ეპისკოპოსმა ამ მხრით ვერ შეუწყო ხელი ჩვენს საზოგადოებას იმე-რეთში.

დრო თან-და-თან იცვლება და სხვა და სხვა ბედ-იღბლს გვიმზადებს, ეს ყოველივე კაცის ცხოვრებას და მისს ხასიათს ცხადად ეტყობა. ჩვენთვისაც ეს ნახევარი საუკუნეზე მეტია დრო შეიცვალა და თან და თან იცვლის ფერს. ამას იმერლების ცხოვრებაზე საზოგადოდ და ხა-სიათზე განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს. სადაც იმე-რული წინეთ პირდაპირ გაივლიდა, ახლან იქ გამომავ-მოინდომებს; უწინდელი პირდაპირი გზა ახლან იმერეთში მიხლავნილ მოხლავნილია. ხასიათის ცვლილებამ იქონია გავლენა გალობაზედაც. ახლან იმერეთში ცხადი გასარჩევია გალობის ძველი და ახალი კილო. უწინდელი პირდაპირი უფრო განწოლილი და ადგილ ადგილ სასმენად სასია-მოვნო კილო—ახლან უმეტეს ნაწილად სმენის შემაწუნე-ბელის ხმის თრთოლით არის სასვე. ამ მხმის დასლაკვანს „კარბელაგის“ ანუ „გამშვენებას“ ეძახიან, და მეტ აგრე დაგუ-ძახებ. ეს გამშვენება, რასაკვირველია, დაფუძნებულია ძველს კილოზე, რომელიც ყველა მგალობლებისთვის ერთი და

იგივეა, მაშინ, როდესაც კილოს გამშვენება კარგს ხმასაც დამოკიდებული და სხვა და სხვაა. ზევით ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ახალი კილოს საფუძვლად ჯერ კიდევ ძველი კილოა; გალობას რომ ვინმე სწავლავდეს, უსათუოდ ძველს კილოზე ასწავლიან.—გამშვენება ვი თვითონ მასწავლის საქმეა, მან უნდა უფროს სხვაგან და სხვაგან და ისრე დაისწავლოს. ამისთვის ახალი კილო ძლიერ შემუშავებულ დაქნილ ხმას თხოვლობს. არიან მგალობლები, რომლებიც მარტო ამ მხრით არიან შესანიშნავნი ე. ი. ძლიერ ტკბილი და დაქნილი ხმა აქვთ; გალობები ვი ცოტა იციან. მათ რიცხვში უკვლავ შესამჩნევი არიან გურიაში მოსიშლერე—მგალობელი დ. გუგუნავა და მისი შვილი ს--ნი. არიან მგალობლები, რომელთაც მთელი სწავლობელი გალობით იციან, მაგრამ საზოგადოებაში არ გალობენ, რადგან ახალი კილო არ შეუყვარებიათ. მათ შორის საყურადღებოა დ. ხონში ძღვ. ვასილ ქუთათულაძე მგალობლის იღუმენის ვასილის შვილის შვილი და დეკანოზის კიდევ საქები მგალობლის ანტონის შვილი.

ნოტებზე გარდასვლამდე ძველი კილო უფრო ადვილია, და რადგან ის არის საფუძველი ახლისა, თუ იქნა, ის უნდა იქნეს გარდაღებული. გალობის ძველ კილოზე მტოდნები არიან; პირველი მათგანი და უპირველესი მგალობელი იმერეთში პატარსკვიში მოხუცი სიმონ კანდელაძე, ეს არის ერის კაცი; ამ უკანასკნელ წლამდის იმერეთის უპირველესი მგალობელთა რიცხვში უკეთესი ადგილი ეჭირა. ახლა შეუძლებლობისაგან იქ აღარ ითვლება. იმის გალობის ცოდნაზე ამის მეტი არა ითქმის რა: ის არის უკეთესი მგალობელი იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. მხოლოდ როცა მას თანასწორი ამხანაგები ჰქონდა, ასე იტყოდნენ: სიმონმა უკვლავ უფრო ბეგნი ჭრელები (КОНЦЕРТЬ) იცისო. თვითონ ვი პატარსკვიში მოხუცი პირ მთუნეველად ამბობს: „დავით ჩხარელს“ (გვარად შოთაძე იყო; მშენიერი მგალობელი დაბა ჩხარდგან) რა იმისთანა ჭრელი ჩაჭყვა საფუძვლით, რომ ზევით აღარაის დაგვრჩენიაო“ მეორე საყურადღებო მგალობელი არის ძღვ. ვასილ ქუთათულაძე. ერთს ვი ვიტყვი ამ მგალობელზე, რომ ისენი ძლიერ კარგს იქმოდნენ რომ თავიანთ გალობას უფრო ძვირად აფასებდნენ. უკვლავის ასე არ იქნება, ქართულ გალობას დაუბრუნდება უწინდელი პატარის ცემა*).

* ამბობენ რომ ეს მგალობელი თურმე აგრე ხუმრობს: „ხოთ მანეთ ვინც მომცემს, ჩემს გალობას ახლავე მივუჭრილი“.

მათ გარდა არიან განთქმულნი მგალობლები, რომლებიც მაც რჩევი კილო საფუძვლიანად იციან, მაგრამ ახლაც გალობენ. გალობის საკეთილ-დღეოთ უფრო კარგი იქნებოდა, რომ ესენიც ძველ კილოს დაუბრუნდებოდნენ და იმავე იგალობებდნენ.—გურიაში ანტონ დუმბაძე, რომელსაც ძლიერ ტკბილ ხმასაც უქმებენ, განსაკუთრებით ბანს და ძღვ. ჩხატარაიშვილი. იმერეთში: ნიკო მექმარიაშვილი ანხანაგებითურთ და მეგრეთში — დიტო ჭლაკანიძე.

რაც შეეხება იმას რომ იმერულს გალობაში აი-უი, აჰა-იჰა, აჰაია და სხვა ურევიაო, ეს ამოდენადვე საშიშარია არ არის. იმისთვის, რომ კარგი მგალობლები აი-უის არ იმხიან. ეს მხოლოდ იმის ხვედრია, ვისაც რჩიოდე რამ უსწავლია და თავი მგალობლად მიაჩნია, ესეც რომ არ იყოს აი-უი ქართულის გალობის უმთავრეს ნაკლებობას არ შეადგენს, რომ მარტო მითი მოლად გალობა გარეწილად ჩაითვალოს. მხოლოდ ეს არის რომ იმერულს სხვაზე უფრო ეხერხება აის თქმა ვინემ ხმის ერთ მანძილზე ან-ზე გაჩერება, ეი-ს თქმა, ვინემ ე-ზე გაჩერება და სხვ. მაგალითად ვსთქვამთ გალობით მამა უნდა ითქვას და პირველი მარცხელი ერთ დაქტინია (○) მოგიერთი იმერული მგალობელი ვი აგრე იგალობებს:

ქქუ
 მამა-იამის მაგივრად, რომ იგალობოს ○. ეს მაიწერება, მეთქვი, უცოდინარეობას. მაინც არ იქნება სასარგალო, რომ ზოგიერთი მგალობელი ამ ნაკლებობას დააკვირდეს.

ზოგიერთაგან გამოვიჩინა კიდევ, რომ იმერული გალობა სიმღერას გავსო, ეგვლისას და ღოცვას მაგვარნი გალობა არ შეშენისო. ამის მოქმედი ნეტა შეადარებდეს რუსულს ობიზოდის გალობას რუსულსავე ახალს გალობას, რომელიც რომელიმე ოპერის ნაწილს ჰგავს. მაშინაც იტყოდა—ოპერა ეგვლისას არ შეშენისო?

მაშასადამე, თუ იმერეთში საეკლესიო გალობა ჯერ კიდევ არსებობს, რა საშუალება უნდა ვინმარათ, რომ ეს გალობა მეგრისათვის მაინც არ გაგვიჭრეს ხელიდგან?—ჩვენ გემართებს რაი საქმე: პირველი: ქართულს გალობას სა-მოქალაქო უფლება მიენიჭოს; მეორე: ქართული გალობა ნოტებზე უნდა გარდავიდეთ. ქართულის გალობის სა-მოქალაქო უფლება რაში მდგომარეობს ამას მაგალითად სოციალისტები:

დახა ხონში ამ უგანსკულ დროს იყო ერთი ძველი-
 ნიუნი მგალობელი სიმონ ფირცხლავა ეს კაცი იყო კუტი-
 იელა თავის სახლში და ამოადებდა მონურებს მღვდელად
 ამასთანვე გალობასაც ასწავლიდა, ვინც მონურებს და
 განსაკუთრებულ სასყიდელს მიიღებდა. გალობის სწავლებას
 დიდი მეტადინეობა სჭირდებოდა, შესაფერ სასყიდელს
 მას ვერ ამდევდნენ და ამ გეგმად ეს სასწავლებელი კაცი
 თავს ვერ იჩინებდა, ამ დროს იმერეთის ეპისკოპოსად
 იყო განსჯენებული გერმანე გოგოლაშვილი. ამ კაცმა თუ
 მისმა მოწინავემ—ეს კაცად არ ვიცი—გუტს მგალობელს
 სწავლებს ხანინიდან დაუნიშნა სამი თუმანი წელიწადში
 მინამ ცოცხალი იქნებოდა. ამ მგალობელმა ბერს ასწავლა
 გალობა, ბერს დავიწყებული გასსენა, ხსენებ ბერის
 იმერეთში მისი ხასწავლი მღვდლები და მგალობლები და
 სხვანი. მისს დროს ხონის სობორში მწუხრზე და
 ცისკარზე წიგნი ორჯერაც არ წაიკითხებოდა—სულ გა-
 ლობა ისმოდა. აგრეთვე ეძლეოდა სამი თუმანი გელათის
 სობორში დიმიტრი კანდელაკს; რომელიც ასევე ცოც-
 ხალია. გამოცვალა გერმანე ეპისკოპოსი და მომანდა
 მისს ადგილზე მ. უ. აწინდელი იმერეთის ეპისკოპოსი
 გაბრიელი. მისის მოსვლის შემდეგ მისს ქართულ მგა-
 ლობებს ცოტა არ იყოს აწესდათ ზატივი; მიწული
 ადგილი რუსულმა მგალობლებმა დაიჭირეს. ქართულ გა-
 ლობას „უფალო შეგვიწყალეს“ მეტი თითქმის არაფერი
 ერგო! სადღას ქართული გალობით ცისკრის ან მწუხრის
 ერთიანად გატარება!... წაერთვა სამი თუმანი მოხურს
 დიმიტრი კანდელაკს, რომელიც სხვაგან თუ არა გელათს
 მანც არ მოაკლებდა ქართულს მგალობლებს. ხონელ
 სიმონს კუტსაც (ასე ეძახდნენ) წაერთვა სამი თუმანი.
 სიღარბებში გარდაიცვალა ის კაცი, რომელიც სასულიერო
 სემინარიობას ასრულებდა იმერეთში.... წართმევა თუ არ
 ქართულ გალობას სამოქალაქო უფლებები?! ერთი და რამ
 არ არის შემდეგი მაგალითები: ქუთაისს სობორში ქარ-
 თული მგალობლები ორ შინად გალობენ, როცა წირვა
 ქართულად სრულდება. ამ დროს საიდგანსაც გახდებ
 რუსული გალობით დაგვიანებული რელიქტი და თვალ და
 ხელს შუა წაართმევს გალობას ქართულ მგალობლებს
 ქართული მგალობლები იძულებული არიან ეკვლისიდან
 გარედ გაიპარონ და მასობურ ეკვლისაში განაგრძონ
 თავიანთი გალობა....

მეორე საშუალება—გალობის ნოტებზე გადაღება.
 ღოგორც ზევით მოგახსენეთ ამ აზრის მისასწავლად სჭი-

რთა განკუთვნილი მოსურნე და ნიჭიერი ახლ-
 განდები... საყველ-ზურთოთ ეს საქმე არ გაკეთდება...
 შირველი საშუალება—ფულია სჭირბო. ამ მხრით მაგა-
 ლითი მოკვდა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის
 ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. მივბამთ მას!..

ლ. ივერიელი.

19 აგვისტოს 1878 წ.

საპოლიტიკო მიმოხილვა

მოკვლავს სიტყვა, რომელიც წამოხსთქვა დეპუტატ-
 მს (სოციალ-დემოკრატმა) რეისტადში:

„უკვლავს უწინარეს უნდა წავსარჩლო ჩემს დასს
 და ვაღვიარო, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს
